

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №24**

ქ. თბილისი

01.06.2018

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურუდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარე);

ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარე, ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

ნინო ჩანადირი - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მაგისტრანტი (საბჭოს მდივანი);

თეო ურუშაძე - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი, პროფესორი;

სოფიკო ლობჯანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი;

გელა გელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელფეთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;

გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განთლების კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;

დიმიტრი ჯაფარიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე;

ირინე გოცირიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

პაატა ბრეკაშვილი - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ კავკასიის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დეპარტამენტის დირექტორი;

გიორგი თურქია - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი პროფესორი;

ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს კავკასიის უნივერსიტეტი:

ნუგზარ სხირტლაძე - უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში;
ეკატერინე აზარაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
დავით ნატროშვილი - დაწესებულების წარმომადგენელი;
ქეთევან ინწკირველი - დაწესებულების წარმომადგენელი;
მარიამ მანჯგალაძე - დაწესებულების წარმომადგენელი.

შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი:

გიორგი მიქაძე - ბიზნესისა და ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი;
თამთა მიქაბერიძე - პროგრამის ხელმძღვანელი;
ეკა ნაცვლიშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი;
ნათია შეყილაძე - ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი.

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რომეო გალდავა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
მარიამ მირესაშვილი - სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
ზურაბ პაპასქირი - სამეცნიერო დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
ზურაბ ლომთათიძე - პროგრამის ხელმძღვანელი;
ილო გოროზია - პროგრამის თანახელმძღვანელი;
მარინა ზარქუა - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:

რამაზ ქურდაძე;
ირინა ლოზჟანიძე;
ანჟელა აბულაძე;
ვასილ კიკუტაძე;
მანანა ვასაძე;
ბესარიონ ლასარეიშვილი;
ანი ბილანიშვილი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:43 საათზე.

სხდომას ესწრებოდა საბჭოს 13 წევრი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ზ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27² მუხლის მე-5 შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27⁵ მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს კავკასიის უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიკრობიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა წარმოდგენილი არ იქნა. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი დღის წესრიგი. წარმოდგენილი დღის წესრიგი ერთხმად იქნა დამტკიცებული საბჭოს წევრების მიერ.

1. შპს კავკასიის უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართული ფილოლოგია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ქართულ ფილოლოგიაში 100501
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა თვითაცილება განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ შედგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტის განცხადებით, ჯგუფი წინასწარ იცნობდა საგანმანათლებლო პროგრამას ცენტრის მიერ გადმოგზავნილი მასალებიდან გამომდინარე, მათ უკვე ჰქონდათ დადებითი წარმოდგენა პროგრამის შინაარსსა და სილაბუსებზე რაც უშუალოდ ვიზიტის დროს, გამართლდა. დაწესებულების მხრიდან მზაობა პროგრამის უფრო მეტად სრულყოფის მიზნით ნათელი იყო. მიუხედავად აღნიშნულისა, ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნაში არსებობდა გარკვეული რეკომენდაციებიც ზოგიერთ სილაბუსთან მიმართებით. გარკვეულ სილაბუსებში მეორედებოდა ლიტერატურა, თუმცა ვინაიდან პროგრამა გახლდათ ახალი დაწესებულებას გააჩნდა მყარი პოზიცია გამოესწორებინათ მითითებები. რაც შეეხებოდა ქართული ფილოლოგიის ნაწილს, საჭირო იყო ქართული ენის მიმართულებით კურსების დამატება. აღსანიშნავი იყო, რომ დაწესებულებამ პერსონალის შემადგენლობაში მიიღო ენის ორი სპეციალისტი - მარიამ მანჯგალაძე და ნათია ფუტკარაძე, რაც დაწესებულებას აძლევდა შესაძლებლობას დაემატებინათ ქართული ენის მიმართულების საგნები.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა იყო ახალი. დაწესებულება პროგრამას განიხილავდა, როგორც საჭიროს ისეთი პრესტიჟული ქართული კერძო უნივერსიტეტისათვის, როგორც იყო კავკასიის უნივერსიტეტი. დაწესებულებამ ჩაატარა ბაზრის სიტუაციური ანალიზიც, რომლის გათვალისწინებაც მოხდა პროგრამის შემუშავებისას. პროგრამის არსებობა, გარდა საჭიროებისა წარმოადგენდა პრესტიჟის საგანსაც დაწესებულებისათვის. ლექსიკოლოგიის ნაწილთან დაკავშირებით დაწესებულება დაეთანხმა რეკომენდაციას, ისევე როგორც ციფრული ტექნოლოგიების მიმართულებით. ასვე გამოხატულ იქნა მზაობა პროგრამაში დამატებულიყო საჭირო კურსები.

თავმჯდომარემ იკითხა რამდენი აკადემიური პერსონალი იყო პროგრამაზე და მოდიოდა თუ არა ძირითადი დატვირთვა დაწესებულებასთან აფელირებულ პერსონალზე, თუ ბირთვს წარმოადგენდა მოწვეული პერსონალი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აკადემიური პერსონალის შემადგენლობა იყო შემდეგი: 8 პროფესორი, რომელთაგანაც 6 იყო ასოცირებული პროფესორი ხოლო 2 ასისტენტი და დამატებით 16 მოწვეული პროფესორი. პროგრამა გათვლილი იყო 25 სტუდენტზე, შესაბამისი ბიუჯეტიც შედგენილი იყო აღნიშნული რიცხვის გათვალისწინებით.

თავმჯდომარემ დაინტერესდა, რადგან დაწესებულებამ აღნიშნა რომ ჩაატარა ბაზრის კვლევა, ნიშნავდა თუ არა ეს რომ ბაზარი დაიტევდა კიდევ ერთ პროგრამას აღნიშნული მიმართულებით.

წარმომადგენელმა განმარტა, რომ ჩატარდა ბაზრის სიტუაციური ანალიზი. შესწავლილ იქნა აბიტურიენტთა ინტერესები და შესაბამისად იქნა შეთავაზებული პროგრამა დაწესებულების მიერ. დაწესებულებას გააჩნდა კარგი გამოცდილება ინგლისური ფილოლოგიის პროგრამაზე და არსებობდა ობიექტური გარემოებები რაც ამ პროგრამის წარმატების იმედის საფუძველს იძლეოდა.

თავმჯდომარემ აღნიშნა, დადებითი იყო მოვლენა რომ იცვლებოდა პარადიგმა და ქართული ფილოლოგიის მიმართულებით მიდიოდნენ სტუდენტები, რომლებსაც სფერო მართლაც აინტერესებდათ. მან დაწესებულებას სთხოვა დაეფისირებინათ პოზიცია რეკომენდაციის შესახებ, რომელიც ეხებოდა მიღების წინაპირობაში ინგლისური ენის შიდასაუნივერსიტეტო რეგულაციას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ინგლისური ენის შესწავლის წინაპირობა არ იყო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებში. სილაბუსების საერთო პაკეტში გამორჩენილი იყო A2 დონის ინგლისურის სილაბუსი, რომელიც დაწესებულებაში ისწავლებოდა. მოგვიანებით ის ექსპერტებს წარედგინათ, შესაბამისად დაწესებულებას აღნიშნული სილაბუსი თავიდან გასაკეთებელი არ ჰქონია, ის უბრალოდ დაემატა წარდგენილ პაკეტს.

თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რა ვითარება იყო დაწესებულებაში სხვა ენებთან მიმართებაში და როგორი იყო მათზე სტუდენტების მოთხოვნა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისწავლებოდა გერმანული, ფრანგული, ესპანური და თურქული ენები. დაწესებულება სტუდენტებს სთავაზობდა მოცემულ ენებს მეორე უცხოენის სახით და ტენდენციის მიხედვით მოთხოვნა განსაკუთრებული იყო გერმანულზე და შეიმჩნეოდა მოთხოვნის ზრდა ესპანურთან მიმართებაშიც.

საბჭოს წევრმა, ირინე გოცირიძემ იკითხა, იმისათვის რომ სტუდენტები მეტად მორგებულები ყოფილიყვნენ დასაქმების ბაზარს, ხომ არ იქნებოდა უმჯობესი ძირითად მიმართულებასთან ერთად მათ ჰქონოდათ საშუალება დაემატებინათ მაინორ პროგრამაც.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უშუალოდ მოცემულ პროგრამაში მაინორი ინტეგრირებული არ იყო, თუმცა სტუდენტებს ჰქონდათ 20 კრედიტი თავისუფალი კრედიტებისა, სადაც საგნებს სურვილისამებრ ირჩევდნენ. ამასთანავე ზოგადად მოთხოვნა მაინორისადმი ნაკლები იყო სტუდენტების მხრიდან, რადგან ის არ იწერებოდა კვალიფიკაციაში.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ პროგრამაში მითითებული იყო პარტნიორობის შესახებ მრავალ უცხოურ უნივერსიტეტთან, მას აინტერესებდა აღნიშნულ დაწესებულებებთან პარტნიორობა შედგებოდა პროგრამის ფარგლებში, თუ იგულისხმებოდა ზოგადად მათი დაწესებულებასთან პარტნიორობა. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგულისხმებოდა პარტნიორობა დაწესებულებასთან.

16:13 საათზე საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 16:16 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3¹ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 27⁶ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ 1 თვის ვადაში ცენტრში წარმოედგინათ ანგარიში, სადაც ასახული იქნებოდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია და რეკომენდაციების გათვალისწინების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

16:20 საათზე საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი თეო ურუშაძე.

16:23 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა, გელა გელაშვილმა.

2. შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
კვალიფიკაციის კოდის მითითებით	მენეჯმენტში 0203
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ შედგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტმა განაცხადა რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 29 მარტს. შემოწმდა ყველა საჭირო დოკუმენტაცია და განხორციელდა დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა აქტივობა. პროგრამას გააჩნდა საუკეთესო პრაქტიკა, რაც გულისხმობდა სტარტაპების დაფინანსებას, რომელსაც დაწესებულება აფინანსებდა საკუთარი სახსრებით. ექსპერტებმა ნახეს რამოდენიმე პროექტი, რომელიც რეალობაში მუშაობდა. გარდა ამისა დამსაქმებლები მზად იყვნენ მიეღოთ მონაწილეობა სტუდენტების დაფინანსებაში, რათა მათ ხელი არ შეშლოდათ სწავლის საფასურის გადახდაში. არსებობდა რამოდენიმე რეკომენდაცია, რომელიც მიზნად ისახავდა პროგრამის გაუმჯობესებას. რეკომენდებული იყო საბაკალავრო პროექტის კრედიტის მოცულობა მისი მიზნებიდან და შინაარსიდან გამომდინარე 6 კრედიტიდან გაზრდილიყო 10 კრედიტამდე და დაზუსტებული ყოფილიყო პროექტის შუალედური შეფასებების კომპონენტების ქულები, პროექტის პრეზენტაციის დეტალები. კერძოდ, საჭირო იყო დაკონკრეტებული ყოფილიყო, რომ პროექტი სრულდებოდა ინდივიდუალურად და მისი პრეზენტაცია ასევე ინდივიდუალურად ხდებოდა.

საბჭოს წევრი, გიორგი თურქია დაინტერესდა რა იგულისხმებოდა პროექტის შუალედურ შეფასებაში.

ექსპერტმა უპასუხა, რომ პროექტის შუალედური შეფასება წარმოდგენილი იყო გამსხვილებული რანჟირებით.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ იკითხა, შეიძლებოდა თუ არა ფინანსური ნაშრომი კანონის თანახმად მხოლოდ ერთი ნიშნით შეფასებულიყო.

ექსპერტმა უპასუხა, რომ ეს იყო საბაკალავრო და არა სამაგისტრო ნაშრომი.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მეორე რეკომენდაციის თანახმად დაწესებულებაში შემუშავებული უნდა ყოფილიყო კრედიტების მინიჭების მექანიზმები, რაც შესაძლებლობას მისცემდა სასწავლო უნივერსიტეტს მოეხდინა პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების კრედიტების დიფერენცირება კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით. ამასთან დაკავშირებით ექსპერტმა განაცხადა, რომ ფაქტობრივად ყველა კურსი თანაბარი კრედიტებით იყო წარმოდგენილი, ხოლო მექანიზმის არსებობა დაწესებულებას მისცემდა საშუალებას 4-5 კრედიტიანი საგნების ინტეგრირებისაც პროგრამაში.

საბჭოს წევრმა, თეო ურუშაძემ იკითხა რა იგულისხმებოდა მექანიზმის შემუშავებაში და ხომ არ იქნებოდა უმჯობესი თითოეული კურსისათვის, მისი დატვირთვიდან გამომდინარე ინდივიდუალურად მინიჭებულიყო კრედიტების ოდენობა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ კრედიტში შემავალი საათობრივი დატვირთვა და აშ., დოკუმენტურად გაწერილი არ იყო, თუმცა გასაუბრების დროს გაირკვა, რომ რეალობაში დაწესებულება ამ პრაქტიკას იყენებდა. საჭირო იყო გაწერილიყო ის მექანიზმი, რომლითაც დაინტერესების შემთხვევაში დაწესებულება ახსნიდა რატომ ენიჭებოდა კონკრეტულ საგანს 5 კრედიტი და არა მაგალითისათვის 10.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მესამე რეკომენდაციის თანახმად დასაზუსტებელი იყო სასწავლო კურსის კალკულუსი 1-ის სახელწოდება, როგორც „მათემატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში“, ხოლო დისციპლინა კალკულუსი 2-ის დასახელება თავისი შინაარსიდან გამომდინარე უნდა განსაზღვრულიყო როგორც კალკულუსი. შესაბამისად აღნიშნული სასწავლო კურსების სწავლება უნდა განხორციელებულიყო შემდეგი თანმიმდევრობით: „კალკულუსი“ - „მათემატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში“ - „სტატისტიკა ბიზნესისათვის. ასევე რეკომენდირებული იყო: პროგრამის ძირითადი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსებიდან „რისკების მართვის“ დისციპლინა გადასულიყო სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში; ამასთანავე, ზოგიერთ სასწავლო კურსში სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები მეტად მორგებოდა კურსის სპეციფიკას, კერძოდ სასწავლო კურსში „პროექტების მართვა“ სწავლის შედეგები უპრიანი იყო შეფასებულიყო არა რეფერატის, არამედ პროექტის შესრულების მიხედვით, ასევე სასწავლო კურსების (მაგ. სასწავლო კურსებში კორპორაციათა ფინანსები, მენეჯმენტის საფუძვლები, ბიზნესის სტატისტიკა და ა.შ.) გარკვეულ ნაწილში შეფასების მეთოდად გამოყენებული იყო 4 ზეპირი გამოკითხვა, 2 წერიტი გამოკითხვა და 1 პრეზენტაცია, რაც უმჯობესი იქნებოდა მეტად მორგებოდა კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკას. რეკომენდირებული იყო გაფართოებულიყო სტუდენტების ინტერნაციონალიზაციის პროცესები, კერძოდ გაზრდილიყო სტუდენტური კონფერენციების მასშტაბები, დაგეგმილიყო სხვადასხვა საერთაშორისო ფორუმები, უცხოეთის სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა, ჩატარებულიყო მოწვეული უცხოელი ლექტორების საჯარო ლექციები და ა.შ. შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა სტუდენტების მხრიდან სასწავლო პროცესების შეფასებისას ხარისხის შეფასების ფორმების გამიჯვნას და ცალკე შეფასებულიყო, როგორც სასწავლო კურსები, ასევე ცალკეული პედაგოგის საქმიანობა. ასევე, რეკომენდებული იყო განხორციელებულიყო შეფასების შედეგების სტატისტიკური და შინაარსობრივი

ანალიზის შედეგების გაცნობა ლექტორებისთვის, რათა დადებითი და უარყოფითი შეფასებები გაეთვალისწინებინათ მომავალ საქმიანობაში.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა რომ პროგრამაზე მაქსიმალურად იქნებოდა რეკომენდაციები გათვალისწინებული. მათი მზაობა დასტურდება მათ მიერ წარმოდგენილ სხდომის ოქმში. შენიშვნები მისაღები იყო, მაგალითისთვის სწავლის შედეგები გაწერასთან და კრედიტების მინიჭების საკითხთან დაკავშირებით ბუნებრივი იყო უმჯობესი იქნებოდა უნიფიცირებული ყოფილიყო დოკუმენტურად, თუმცა დაწესებულებისათვის კრედიტის მინიჭებისას ამოსავალი წერტილი იყო ის კომპეტენციები, რომლებსაც სტუდენტი საგნის გავლის შედეგად ეუფლებოდა, ასევე თემატიკა და სირთულე. მიდგომა იყო რომ საგნები მეტნაკლებად თანაბარი სირთულისა ყოფილიყო. მისაღები იყო ექსპერტთა აზრი, დაწესებულება ამაზე იმსჯელებდა, თუმცა მიიჩნევდნენ, რომ ის, რომ საგნები 5 და 6 კრედიტიანი იყო ხარვეზს არ წარმოადგენდა.

თავმჯდომარემ, განაცხადა, რომ აღნიშნულში ის პრობლემას ვერ ხედავდა, რადგან საგნები შესაძლოა ყოფილიყო აგებული მსგავსი მეთოდით და სირთულით. სადაო შეიძლებოდა ყოფილიყო უნიფიცირებული მიდგომის დოკუმენტურად გაწერის საკითხიც, რადგან ბოლონიის პროცესი ითვალისწინებდა კრედიტების დათვლას, თუმცა პროფესორს ინდივიდუალურად შეეძო განესაზღვრა შესასრულებელი სამუშაო საათების მიხედვით. აქ მნიშვნელოვანი იყო იმის შემოწმება, რეალურად ემთხვეოდა თუ არა სირთულე და კონტენტი კრედიტის მოცულობის ადეკვატურობას. მან იკითხა რატომ გადაწყვიტა დაწესებულებამ ყველა რეკომენდაციაზე დათანხმება. მაგალითად, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ან რამდენად უქმნიდა პრობლემას პროგრამას ინტერნაციონალიზაციის სიმცირის საკითხი, რასაც ექსპერტი აცხადებდა, რადგან თითქმის ჩნდებოდა ტრენდი, რომ ბაკალავრიატის სტუდენტს აუცილებლად უნდა ჰქონოდა მონაწილეობა მიღებული კონფერენციაში, რაც სადავო იყო რეალობაში მართლაც იყო საჭირო თუ არა და მართლაც აძლევდა ეს ბაკალავრს ცოდნას თუ არა.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა აღნიშნა, რომ ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისათვის ასეთი ფორმატით ჩატარებული კონფერენციები ხშირად უფრო მეტად უზიძვებდა პლაგიატისაკენ, ვიდრე ახალი ცოდნის შექმნის მცდელობისაკენ.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რეკომენდაციებზე დათანხმება მათ ბრმად შესრულებას არ ნიშნავდა და ისინი იზიარებდნენ ექსპერტის მოსაზრებას რომ ზოგადად ინტერნაციონალიზაციის ხარისხის ზრდა პროგრამას წაადგებოდა, თუმცა ამ კუთხით ნაბიჯები უკვე იდგმებოდა და სხვადასხვა აქტივობები იგეგმებოდა. ის, რომ ინტერნაციონალიზაცია დაწესებულების პრიორიტეტს წარმოადგენდა გაწერილი იყო მის სტრატეგიაშიც. შინაარსობრივად რეკომენდაცია მისაღები იყო და ბაკალავრების ჩართვა კონფერენციებში მაღალ კურსებზე შეიძლებოდა, რაც მათთვის მაგისტრატურის საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვისაც დადებითი ფაქტორი იქნებოდა. რაც შეეხებოდა პროექტების მართვის კურსს, რეალურად სტუდენტი, რომელიც გადიოდა ამ საგანს წერდა არა რეფერატს, არამედ სწავლობდა პროექტის წერას და ამ შემთხვევაში ტერმინი რეფერატი გამოსასწორებელი იყო დაწესებულების მხრიდან, რადგან რეალობას არ ასახავდა. ტარდებოდა იმიტაციები, ფასდებოდა პროექტის როგორც წერითი, ასევე წარდგენითი ნაწილი.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ იკითხა, დაახლოებით რა თანხით ფინანსდებოდა სტარტაპები.

სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ გასული წლის განმავლობაში იყო შემთხვევა 5000 ლარით დაფინანსებისა და წელსაც იგივე იგეგმებოდა. იყო შემთავაზებები კომპანიების მხრიდანაც, რომლებსაც სურდათ ამ პროექტში ჩართვა.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ მისთვის რთული აღსაქმელი იყო, ამ რაოდენობის საგნებს როგორ შეიძლება ჰქონოდა ყველას თანაბარი, ერთნაირი საათობრივი დატვირთვა. რადგანაც მისანიჭებელი კრედიტის ამოსავალი წერტილი საათობრივი დატვირთვა იყო, მას ჰქონდა რჩევა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს შეემუშავებინათ კრედიტების დათვლის მექანიზმი რომელიც რეალურ სურათს ასახავდა, რადგან რთული დასაჯერებელი იყო რომ ფინალური პროექტი და რომელიმე შინაარსობრივად მცირე მოცულობის საგანი ერთნაირ საათობრივ დატვირთვაზე გასულიყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული უკვე გათვალისწინებული იყო.

საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ გადასახედი იყო საგნების წინაპირობები, რადგან ძირითადად მათი უმრავლესობის პრერეკვიზიტად მენეჯმენტის და ფინანსების საფუძვლები იკვეთებოდა, ამასთანავე სილაბუსებში არ ეწერა ლექტორების გვარები და სახელები. რადგანაც საგანს “ბიზნესის საფუძვლები” შერჩეული ჰქონდა ასეთი სახელმწოდება, მისი მომცველი თემატიკა უნდა ყოფილიყო იმაზე ფართო ვიდრე ის დღევანდელი მდგომარეობით იყო გაშლილი სილაბუსში. ფაქტიურად საგანი ფარავდა მხოლოდ ბიზნესის გარემოს ანალიზს და ბიზნესის ორგანიზების საკითხებს. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში საგნის სახელი და შინაარსი ერთმანეთს არ შეესაბამებოდა.

გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ პროექტების მართვის სილაბუსში, პირველ ლექცია ეთმობოდა მენეჯერის ფუნქციებს და როლს ორგანიზაციაში. ამ საკითხებით საგნის დაწყება გაკვირვებას იწვევდა, ვინაიდან მენეჯერის ფუნქციები არ იყო პროექტის მართვის საგნის შესწავლის საკითხი.

ასევე, ფინანსების საფუძვლები წარმოდგენდა ზოგად სახელს რადგან ფინანსების საფუძვლები შეიძლება თავის თავში გულისხმობდეს კორპორატიულ ფინანსების საფუძვლებს, სახელმწიფო ფინანსების საფუძვლებს და სხვა. წარმოდგენილი „ფინანსების საფუძვლების“ საგნის სილაბუსში გაწერილ მიზანს საგნის სილაბუსის შინაარსი პასუხობდა, თუმცა საგანი ფინანსების საფუძვლები არაადეკვატურად იყო გამოყენებული წინაპირობებში ისეთ საგნებში როგორიცაა - ინვესტიციების მართვა ან საბანკო ოპერაციები და სხვა.

ასევე, გიორგი თურქიას მოსაზრებით, საგანში საბანკო ოპერაციებში არ იყო ბევრი მნიშვნელოვანი თემა. მაგალითად ისეთი თემა, როგორიც იყო “სვოპი კონტრაქტი”. შეიძლება ითქვას, რომ კორპორატიული ფინანსები პროგრამაზე არ ისწავლებოდა, რადგან საბჭოს წევრის თქმით მან ვერსად ნახა მაგალითად ისეთი საკითხი როგორიც იყო - ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების სწავლება. ნახსენები არსად იყო სიტყვა დისკონტირება, დისკონტური განაკვეთი და ა.შ. შინაარსიდან გამომდინარე უმჯობესი ხომ არ იქნებოდა პროგრამას მოემზადებინა მენეჯმენტის ბაკალავრი.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროგრამა ისედაც მენეჯმენტის მიმართულებით იყო შედგენილი, კერძოდ - ბიზნესის ადმინისტრირება მენეჯმენტში.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ პროგრამის მისანიჭებელ კვალიფიკაციას უნდა მოსცილებოდა ბიზნესის ადმინისტრირება, რადგან ასეთ მცნებას “ბიზნესის ადმინისტრირება მენეჯმენტში”, შეცდომაში შეჰყავდა აბიტურიენტები. მან სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს აეხსნა რა იგულისხმებოდა კვალიფიკაციის სახელწოდების ქვეშ.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბიზნესის ადმინისტრირება მენეჯმენტში საკუთარი სათაურის ქვეშ გულისხმობდა იმას, რომ აქცენტი იყო მენეჯმენტის მიმართულების საგნებზე და უფრო ნაკლებად - ფინანსური საგნების მიმართულებით.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ მისი აზრით, აქ საკითხი შემდეგნაირად იდგა. კერძოდ, იყო საბაზისო საგნები, რომლებიც საჭირო იყო, როგორც მენეჯერებისთვის ასევე მარკეტოლოგებისთვის. ამასთანავე აღსანიშნავი იყო ის, რომ აღნიშნული კონცენტრაციის ბაკალავრს მაგისტრატურის საფეხურზე ბიზნესის ადმინისტრირებაში შესაძლოა ბაკალავრის ხარისხით დაეკმაყოფილებინა წინა საფეხურის მოთხოვნა, მაგრამ შინაარსის კუთხით მოთხოვნის დაკმაყოფილებასთან მას სავარაუდოდ პრობლემა წარმოექმნებოდა.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ იკითხა, ენიჭებოდა თუ არა კვალიფიკაცია ბაკალავრს ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის მიზანი იყო მომზადებულიყო მენეჯერი. პროექტის მენეჯმენტის საფუძვლებში მენეჯერის ფუნქცია იქნებოდა ის, რომ მას თავი დაენახა როგორც პროექტის მენეჯერს და არა როგორც ჩვეულებრივ მენეჯერს. პირველ ლექციაზე მოხდებოდა შეხსენება იმისა თუ რა იყო პროექტის მენეჯერის ფუნქციები და შემდეგ გადავიდოდნენ პროექტის მართვის მეტად სიდრმისეულ სწავლებასზე.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ ურჩია დაწესებულების წარმომადგენელს, საგნიდან პროექტების მართვა ამოეღოთ ტერმინი “სპონსორობა” და ამის ნაცვლად გამოეყენებინათ “დაფინანსება”. მისი მოსაზრებით, ბაკალავრს არ უნდა შექმნოდა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს პროექტებს მხოლოდ ასპონსორებენ, რადგან სპონსორობა დაფინანსების მხოლოდ ერთ-ერთ გზას წარმოადგენდა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ეთანხმებოდა საბჭოს წევრს იმაში რომ ტერმინი “დაფინანსება” უფრო მეტად იქნებოდა მიზანშეწონილი, რომ გამოეყენებინა დაწესებულებას. „ქვე ფლოუსთან“ მიმართებაში ექსპერტებს ჰქონდათ საუბარი დაწესებულებაში ვიზიტისას და ითქვა, რომ რეალურად საკითხი ისწავლებოდა, თუმცა შესული არ იყო სილაბუსში. სტუდენტებმაც დაადასტურეს, რომ იყო საკითხები რომლებიც შესაძლოა სილაბუსში გამოკვეთილი არ ყოფილიყო თუმცა რეალურად ისწავლებოდა, ამიტომ ყურადღების გამახვილება აღნიშნულზე არ მოხდა. ამასთანავე რთული იყო დათანხმება იმაში, რომ პროგრამაზე ფინანსები საერთოდ არ ისწავლებოდა, რადგან იყო საგნები, რომლებიც შინაარსობრივად ფინანსების სფეროს განეკუთვნებოდა, მაგალითად ფინანსური აღრიცხვა. ექსპერტის მოსაზრებით, რა თქმა უნდა, ამ მიმართულებით შესაძლებელი იყო საგნების დამატება.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ ფინანსური აღრიცხვა და ფინანსები, განსაკუთრებით კორპორატიული ფინანსები თავის თავში სხვადასხვა რამეს მოიცავდა. მან იკითხა მიზანშეწონილი ხომ არ იქმნებოდა სხვა მაინორების პარალელურად შექმნილიყო ფინანსებიც მაინორიც, ან მარკეტინგის მაინორი, რაც ახლოს იქნებოდა ბიზნესის ადმინისტრირებასთან. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ფაკულტეტი იყო მზარდი. შესაბამისად, ექსპერტთა და საბჭოს წევრების მიერ დაფიქსირებული შენიშვნები და რეკომენდაციები მაქსიმალურად იქნებოდა დამუშავებული და გათვალისწინებული. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე დაამატა, რომ სასწავლო უნივერსიტეტი ბევრს მუშაობდა ინტერნაციონალიზაციის ხაზით, სტუდენტები ერთვებოდნენ სხვადასხვა საერთაშორისო აქტივობებში.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ იკითხა, რამდენი სტუდენტი ჰყავდა პროგრამას. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრს უპასუხა, რომ ჰყავდათ 300-მდე სტუდენტი ბიზნესზე და ტურიზმზე ერთად. ამ ეტაპზე პროგრამა მორგებული იყო იმ რესურსზე რაც სასწავლო უნივერსიტეტის არსებობდა.

16:50 საათზე საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი დიმიტრი ჯაფარიძე.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა იკითხა, რატომ იქნა არჩეული 3 ქვესპეციალიზაცია, რომელიც ერთმანეთისგანაც განსხვავდებოდა და პროგრამის ძირითადი მიმართულებისგანაც. სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შეთავაზება მოხდა იმ შესაძლებლობების ფარგლებში რაც დაწესებულებას გააჩნდა, კერძოდ მოხდა იმ პროგრამების შეთავაზება, რომელიც დაწესებულებაში არსებობდა.

თავმჯდომარემ იკითხა, რადგან ეს არ იყო ახალი პროგრამა, როგორი იყო წლიდან წლამდე სტატისტიკა აღნიშნული პროგრამის მიმართ ინტერესისა.

სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შარშან ზრდა ნაკლებად დაფიქსირდა, თუმცა წელს შეინიშნებოდა აბოტურიენტების ინტერესის ზრდა, რაც გამოწვეული იყო აბოტურიენტებისათვის პროგრამის სტუდენტების წარმატებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებით, რამაც გაზარდა ინტერესი პროგრამისადმი.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ერთ-ერთი რჩევა იყო კალკულუსი I და კალკულუსი II-ისათვის დასახელების შეცვლა და სემესტრულ სწავლებაში ადგილების შეცვლა, რაზეც დაწესებულება თანხმობას აცხადებდა. საბჭოს წევრმა იკითხა, თუ როგორ ხდებოდა აქამდე ამ საგნების სწავლება თანმიმდევრობის მიხედვით, თუ შეთავაზებული ახალი თანმიმდევრობა აქსიომურ ჭეშმარიტებას წარმოადგენდა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ საგნების გადაადგილება საჭირო გახდა სახელებთან დაკავშირებული ტექნიკური პრობლემის გამო და საჭირო იყო სათაურების გადანაცვლება.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ იკითხა, მისაღები იყო თუ არა დაწესებულებისთვის რისკის მართვასთან დაკავშირებული შენიშვნა ცვლილებების შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა რომ ეს მათთვის მისაღები იყო, თუმცა აღსანიშნავი იყო, რომ თემა კომპეტენციის თვალსაზრისით სხვადასხვა სილაბუსებით იფარებოდა, მიუხედავად ამისა ექსპერტთა შენიშვნა მიღებული და გათვალისწინებული იყო.

16:58 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 17:25 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმნათლებლო პროგრამისთვის 1 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3² პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 1 წლის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.

გარდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემული რეკომენდაციებისა, საბჭომ ჩამოაყალიბა შემდეგი რეკომენდაციები:

- საბაკალავრო პროექტის კრედიტის მოცულობა მისი მიზნებიდან და შინაარსიდან გამომდინარე 6 კრედიტიდან გაიზარდოს 10 კრედიტამდე და დაზუსტდეს პროექტის შუალედური შეფასებების კომპონენტების ქულები, პროექტის პრეზენტაციის დეტალები. კერძოდ, საჭიროა დაკონკრეტდეს, რომ პროექტი სრულდება ინდივიდუალურად და მისი პრეზენტაცია ასევე ინდივიდუალურად ხდება;
- დაწესებულებაში შემუშავდეს კრედიტების მინიჭების მექანიზმები, რაც შესაძლებლობას მისცემს სასწავლო უნივერსიტეტს მოახდინოს პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების კრედიტების დიფერენცირება კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით. მექანიზმის შემუშავების შემდეგ ასევე მოხდეს სასწავლო პროგრამის კურსების შესაბამის დიფერენცირება;
- დასაზუსტებელია სასწავლო კურსის კალკულუსი 1-ის სახელწოდება, როგორც „მათემატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში“, ხოლო დისციპლინა კალკულუსი 2-ის დასახელება თავისი შინაარსიდან გამომდინარე უნდა განსაზღვროს, როგორც კალკულუსი. შესაბამისად აღნიშნული სასწავლო კურსების სწავლება უნდა განხორციელდეს შემდეგი თანმიმდევრობით: „კალკულუსი“ - „მათემატიკა ეკონომიკასა და ბიზნესში“ - „სტატისტიკა ბიზნესისათვის“;
- პროგრამის ძირითადი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსებიდან „რისკების მართვის“ დისციპლინა გადავიდეს სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში;
- ზოგიერთ სასწავლო კურსში სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები მეტად მოერგოს კურსის სპეციფიკას, კერძოდ სასწავლო კურსში „პროექტების მართვა“ სწავლის შედეგები უპრიანია შეფასდეს არა რეფერატის, არამედ პროექტის შესრულების მიხედვით, ასევე სასწავლო კურსების (მაგ. სასწავლო კურსებში კორპორაციათა ფინანსები, მენეჯმენტის საფუძვლები, ბიზნესის სტატისტიკა და ა.შ.) გარკვეულ ნაწილში შეფასების მეთოდად გამოყენებულია 4 ზეპირი გამოკითხვა, 2 წერიტი გამოკითხვა და 1 პრეზენტაცია, რაც უმჯობესია მეტად მოერგოს კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკას;
- მოხდეს სხვადასვა საგანში დაშვების წინაპირობის გადახედვა;
- მოხდეს ზოგიერთ საგანში შინაარსის გადახედვა;
- მოხდეს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრებისთვის ფინანსების საგნებში აუცილებელი საბაზისო საკითხების დამატება.

17:20 საათზე საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი ნატო გენგიური.

3. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიკრობიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მიკრობიოლოგია
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიოლოგიის დოქტორი
კვალიფიკაციის კოდის მითითებით	0504
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ შედგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციების შესახებ.

ექსპერტმა განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამისათვის ეს იყო რეაკრედიტაციის პროცესი. პროგრამა იყო 180 კრედიტიანი, საიდანაც 60 კრედიტი ეთმობოდა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 120 კვლევითს. ექსპერტთა დასკვნა პროგრამის შესახებ წარმოადგენდა შემდეგს: პროგრამა აკმაყოფილებდა მე-2, მე-3 და მე-5 სტანდარტებს, ნაწილობრივ შესაბამისობაში იყო მე-4 სტანდარტთან და არ შეესაბამებოდა პირველ სტანდარტს. რეკომენდაციები ეხებოდა მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. ბაზაზე არ იყო საკმარისი აპარატურა იმისათვის, რომ თანამედროვე მიკრობიოლოგიურ ლაბორატორიაში დოქტორანტს შესძლებოდა სათანადოდ წარემართა კვლევა, ამიტომ გაიცა რეკომენდაცია აპარატურის განახლებასთან დაკავშირებით. რაც შეეხებოდა სასწავლო კომპონენტთან დაკავშირებულ რეკომენდაციას, შესაძლებელი იყო ცალკეული კომპონენტების ჩაშლა. ცალკეული სახელმძღვანელოები, რომლებიც გამოიყენებოდა სწავლების პროცესში არ შეესაბამებოდა სადოქტორო საფეხურს. დადებითი პრაქტიკა იყო ქართული სახელმძღვანელოების გამოყენება, თუმცა ეს ლიტერატურა სხვა უნივერსიტეტებში გამოიყენებოდა საბაკალავრო პროგრამებზე. რაც შეეხებოდა რუსულენოვან ლიტერატურას, ის იყო მოძველებული, თარიღდებოდა 80-იანი წლებით, მაშინ როდესაც ისევ რუსულ ენაზე არსებობდა იგივე ლიტერატურის ახალი გამოცემებიც. იმდენად რამდენადაც დარგი სწრაფად განვითარებადი იყო, საჭირო იყო ახალი ლიტერატურის გამოყენება სწავლების პროცესში.

ექსპერტმა განაცხადა, რომ პროფესიულ სილაბუსებში თემატიკა იყო არათანმიმდევრული. სხვადასხვა საგნებში ფიქსირდებოდა თემატიკის გადაფარვები, რაც დოქტორანტს წაართმევდა დამატებით დროს. ამასთანავე, კრედიტებთან დაკავშირებით არსებობდა შეუსაბამოებები. ორ სასწავლო კურსს მინიჭებული ჰქონდა 12 კრედიტი, რაც იმაზე გაცილებით მეტი იყო ვიდრე ეს ამ კურსების ათვისებას რეალურად სჭირდებოდა. მაგალითად, მეთოდების კურსის ათვისება უმეტესად დაკავშირებული იყო საკონტაქტო საათებთან და ბუნებრივია სწავლა აუცილებელი იყო, მაგრამ კურსი არ მოიცავდა განსაკუთრებულ თეორიებს და აშ, ამიტომ მისი ათვისება განსაკუთრებულ დროს არ მოითხოვდა. ამდენად, შეთავაზებულ იქნა კრედიტების ოდენობების გადახედვა და მათი გონივრულ შესაბამისობაში მოყვანა შინაარსთან და სირთულესთან. პროგრამაში შესული იყო თემატიკა, რომელთა ათვისებაც მიმართულება სრულიად არ საჭიროებდა. მაგალითად, იმუნოლოგიის სილაბუსი, რომლის შინაარსი მეტად შეესაბამებოდა კლინიკურ იმუნოლოგიას და ექსპერტის აზრით მოცემული პროფილის დოქტორანტებისათვის მისი ათვისება საჭიროებას არ წარმოადგენდა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ძირითადი პროფესიული საგნების გაცნობის შემდეგ დარჩა შთაბეჭდილება, რომ საგნები იყო საბაზისო დონის, რაც დოქტორანტებს სწავლის წინა ეტაპებიდან შესაძლოა უკვე სცოდნოდათ ზოგადი ბიოლოგიიდან ან ქიმიიდან, ან იყო ზოგადი პროფილის. შეთავაზება იყო, რომ მსგავსი საგნები გამხდარიყო არჩევითი კურსები იმ დოქტორანტებისათვის, რომლებსაც არ გააჩნდათ ცოდნა ამ მიმართულებით და წამოსულები იყვნენ მომიჯნავე დარგებიდან. კურსების სავალდებულოდ დატოვება იმ სტუდენტებისათვის, რომლებსაც სათანადო ცოდნა უკვე გააჩნდათ, მათ მხოლოდ დროს დააკარგვინებდა. რადგანაც პროგრამას გააჩნდა განსხვავებული მიზნები, უმჯობესი იქნებოდა სწავლება მომხდარიყო მიზნებთან შესაბამისი ისეთი საგნებისა, როგორებიც იქნებოდა: ნიადაგის მიკრობიოლოგია, ეკოლოგიური მიკრობიოლოგია, სანიტარული და კვების მიკრობიოლოგია და სხვა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მიღების წინაპირობების მიხედვით აუცილებელი იყო რუსული ენის ცოდნა B2 დონეზე, ხოლო ინგლისური ენასთან დაკავშირებით მოთხოვნა არ იყო. ექსპერტებს მიაჩნდათ, რომ ინგლისურის მოთხოვნა უნდა ყოფილიყო B1 დონეზე და სწავლის პროცესში მომხდარიყო ენის ცოდნის დონის ზრდა. ამასთანავე უმჯობესი იქნებოდა თუ პროგრამაზე მიღებისას მოხდებოდა მიკრობიოლოგიის ცოდნის ან მიკრობიოლოგიაში განვითარების უნარების შემოწმება, მაგალითად პუბლიკაციის მიცემისა და მისი დამუშავების და წარდგენისდავალებით.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ იკითხა, რამდენად შესაძლებელი იყო წინა საფეხურებიდან ცოდნის გარეშე აპლიკანტს აღნიშნული მოეხერხებინა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მას შესაძლოა განათლება ჰქონოდა მომიჯნავე დარგში, ხოლო პროგრამაზე მიღებისას შემოწმებულიყო მიკრობიოლოგიის მიმართულებით განვითარების უნარი. რადგანაც დოქტორანტები სწავლების წინა საფეხურებზე არ გადიოდნენ დარგობრივ კვლევის დიზაინს, უმჯობესი იქნებოდა პროგრამაში ბიოსტატისტიკის შეტანაც. პროგრამაზე დაცული იყო 2 დისერტაცია, რომლის შინაარსსაც ექსპერტები გაეცნენ. ერთი მათგანი შეეხებოდა ჯილეხის იმუნოდიაგნოსტიკას, ხოლო მეორე ბრუცელოზის ფაზების შესწავლას. თემები მთლიანად შეეხებოდა სამედიცინო მიკრობიოლოგიის სფეროს. ამასთანავე, კვლევები შესრულებული არ იყო უშუალოდ დაწესებულების ბაზაზე, არამედ ბაქტერიოფაგის ბაზაზე, სადაც მიღებული იყო შესაბამისი დაფინანსება.

ექსპერტმა განაცხადა, რომ გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ დამსაქმებლები და სტუდენტები ნაკლებად იყვნენ ჩართულნი პროგრამის განვითარებაში.

თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტი იხილავდა წინა აკრედიტაციის პროცესს და ამბობდა რომ 6 რეკომენდაციიდან 4 გამოსწორებული იყო, ხოლო სათაურში მიუთითებდა, რომ არცერთი მათგანი არ გამოსწორებულა. მან ლიტერატურის შესახებ განაცხადა, რომ წარმოდგენილი ლიტერატურიდან, 26 ლიტერატურული წყაროდან, რუსულენოვანი იყო მხოლოდ 23%. მოცემული 26 წყაროდან უმრავლესობა გამოცემული იყო 2002 წლის შემდეგ, ხოლო 80-90-იანი წლების ლიტერატურას წარმოადგენდა 19%, სადაც შესული იყო ისეთი სახელმძღვანელოები, რაც დაწესებულების წარმომადგენლის აზრით დოქტორანტს აუცილებლად უნდა სცოდნოდა და საშუალება ჰქონოდა შედარება გაეკეთებინა ახალ წყაროებთან. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ექსპერტის მოსაზრებით რა იქნებოდა ადეკვატული ლიტერატურული წყაროების ოდენობა სუბიექტურ მოსაზრებას ემყარებოდა და არ იყო სტანდარტით გათვალისწინებული. დოქტორანტებს მასალის დამოუკიდებლად გაცნობის შესაძლებლობაც ჰქონდათ, დაწესებულებას წვდომა ჰქონდა ტომპსონ როიტერის და სხვა ბაზებთან. სწავლების დროს ყურადღება მახვილდებოდა მონოგრაფიებზე და სამეცნიერო სტატიების ანალიზზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა წაიკითხა ამონარიდი ექსპერტთა დაკვნიდან - „შეუძლებელია ყველა სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსს აბსოლუტურად იდენტური ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, კომუნიკაციის უნარი, დასკვნის უნარი და ღირებულებები ჰქონდეს. აუცილებელია მათი ჩამოყალიბება თითოეული საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე (განსაკუთრებით ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი)“. შეიცვალა - სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი საგნები. გადიოდა მხოლოდ ორ შედეგზე ცოდნა და გაცნობიერება, დასკვნის უნარი, მხოლოდ ერთი საგანი ავითარებდა ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს“. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მტკიცებულების სახით არსებობდა პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, რომლის მიხედვითაც სწავლის პრაქტიკაში გამოყენების უნარს ავითარებდა 13-დან 8 აქტივობა, შესაბამისად ექსპერტის მონაცემები არ შეესაბამებოდა სიმართლეს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დასკვნის მიხედვით პროგრამა არ შეესაბამებოდა პირველ სტანდარტს. დაწესებულების წარმომადგენელმა წაიკითხა ციტატა ექსპერტთა დასკვნიდან, რომლის მიხედვითაც დაწესებულებას მემორანდუმი გაფორმებული ჰქონდა ივანე ბერიტაშვილის ბიომედიცინის ცენტრთან და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიებთან. ექსპერტებმა შეიტყვეს, რომ მემორანდუმები ასევე არსებობდა ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიის და ვირუსოლოგიის ინსტიტუტთან და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტთან, თუმცა ამ ორ უკანასკნელ დაწესებულებასთან შეხვედრა არ შემდგარა. ექსპერტებს წერილობით წარედგინათ დოკუმენტაცია, ხოლო აღნიშნულ დაწესებულებებში ვიზიტი მათ არ მოუთხოვიათ. ამასთანავე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის ინსტიტუტის თანამშრომელს თავად დაწესებულების წარმომადგენელი წარმოადგენდა და დაინტერესების შემთხვევაში, მას შეეძლო აეხსნა ექსპერტისათვის ინსტიტუტში არსებული ვითარება.

წარმომადგენელმა წაიკითხა ციტატა ექსპერტთა დასკვნის მეათე გვერდიდან, რომლის მიხედვითაც ექსპერტებს დამსაქმებლებთან გასაუბრების შედეგად შეექმნათ შთაბეჭდილება რომ პროგრამა არასაკმარისად იყო ორიენტირებული დასაქმების ბაზარზე, რადგანაც პროგრამის შექმნასა და მის განვითარებაში არ დასტურდებოდა დამსაქმებელთა ჩართულობა.

ამასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ დაწესებულებას კავშირი ჰქონდა 20 სამეცნიერო დაწესებულებასთან და თუ ეს რაოდენობა საკმარისი არ იყო ექსპერტისათვის ეს იყო მხოლოდ სუბიექტური მიდგომა და არა არგუმენტი.

წარმომადგენელმა დამატებით წაიკითხა ციტატა დასკვნიდან: “ამავე დროს ეჭვი გვიჩნდება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად დააკმაყოფილებს წარმოდგენილი პროგრამის დოქტორანტურის კურსდამთავრებული დასაქმების ბაზარს და რამდენად მიღწევადია მათი მიზნები იმ პირობებში როდესაც დოქტორანტები ითვისებენ: მხოლოდ საბაზისო მიკრობიოლოგიის კურსებს (რომელთა ნაწილის შინაარსი საბაკალავრო დონეს შეესაბამება), არ გადიან სპეციალიზირებულ კურსებს, არ აქვთ საკმარისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და არანაირი საგრანტო დაფინანსება”. ამასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტის აზრი ბათილდებოდა იმით, რომ კურსდამთავრებულებიდან ბევრი დასაქმებული იყო, ისევე როგორც თავად დოქტორანტების უმრავლესობაც. ხოლო რაც შეეხებოდა საბაკალავრო დონის კურსებს, ექსპერტებს არ წარუდგენიათ მაგალითი საბაკალავრო დონის სილაბუსის სახით რომელთანაც გააიგივებდნენ პროგრამაში არსებულ კურსებს. მიკრობიოლოგიის სახელმძღვანელო, რომელიც სასწავლებლად გამოიყენებოდა შექმნილი იყო დაწესებულების მიერ. როდესაც ექსპერტები დასკვნაში წერდნენ, რომ საკითხები გადაფარული იყო, მათ უნდა მოეყვანათ მაგალითები რა საკითხებს ეხებოდა აღნიშნული

წარმომადგენელმა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ არსებული შენიშვნის შესახებ განაცხადა, რომ დაწესებულებას მემორანდუმები სჭირდებოდა სწორედ იმისათვის, რომ დოქტორანტებს წვდომა ჰქონოდათ მათ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე. აღნიშნული ბაზები სათანადოდ იყო აღჭურვილი და მათში გაკვირვებას იწვევდა ის, რომ ეს ექსპერტისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა. რაც შეეხებოდა გრანტებს, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, დაწესებულება თანამშრომლობდა სხვადასხვა ფონდებთან, მათ შორის რუსთაველის ფონდთან და თუ პროგრამა მიიღებდა აკრედიტაციას, თემატიკა უკვე არსებობდა კვლავაც აპირებდნენ გრანტის მოპოვებაზე ზრუნვას. აღნიშნა, რომ ყველა დამსაქმებელი ჩართული იყო პროგრამაში. პროგრამაზე სტუდენტები მიდიოდნენ დასაქმების ინტერესის გამო და ეს დასტურდებოდა იმითაც რომ კურსდამთავრებულების უმრავლესობა დასაქმებული იყო.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა წაიკითხა ციტატა: “კრედიტების მოცულობა უმრავლეს საგანზე ერთგვაროვანია, არ არსებობს კრედიტების მინიჭების წესი და არ ხდება პედაგოგის მიერ საგნის მოცულობის, სირთულის და სხვა თავისებურებების მიხედვით კრედიტის განსაზღვრა. პროგრამის კომპონენტების შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგები სრულად ვერ უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას”. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ძველი სტანდარტებით კრედიტების მოცულობა იყო უნიფიცირებული მინიმალური 3 კრედიტი დანარჩენი კი 3-ის ჯერადი, 6, 9 და აშ კრედიტები. კრედიტები ნაწილდებოდა საკონტაქტო საათების შესაბამისად. კრედიტების გაანგარიშებაში თავისუფლება სამინისტროს მიერ 2017 წლის დეკემბერში იქნა დაშვებული, რის შესახებაც შეუძლებელი იყო წინასწარი ინფორმაციის ქონა რადგან პროგრამა წარდგენილ იქნა 2017 წლის ოქტომბერში. მიუხედავად აღნიშნული არგუმენტისა ექსპერტმა დასკვნაში შენიშვნა მაინც შეიტანა. დაწესებულება გამოხატავდა უარყოფით დამოკიდებულებას დასკვნისადმი.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სილაბუსის ხედვა და შინაარსი პროფესორის კომპეტენცია იყო. ექსპერტი აცხადებდა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა წინა აკრედიტაციის დროს მიღებული რეკომენდაცია და 18 კრედიტიანი საგანი დაიყვანა 12 კრედიტზე. თუმცა ამჟამად ექსპერტი მის 6 კრედიტამდე დაყვანას ითხოვდა, რაც ვერ იქნებოდა გაზიარებული, რადგან მიკრობიოლოგიაში ლიტერატურის მოცულობა იყო საკმაოდ დიდი. წარმომადგენელმა წაიკითხა ციტატა ექსპერტთა დასკვნის მეთორმეტე გვერდიდან, სადაც ეწერა რომ კვლევითი მიღებული მონაცემების დამუშავებისათვის დოქტორანტი უნდა ფლობდეს შედეგების სტატისტიკური დამუშავების მეთოდებს, რისი შეძენაც პროგრამაში გათვალისწინებული არ იყო. სასწავლო კურსების შინაარსი არ შეესაბამებოდა სწავლების წინამდებარე საფეხურს და ლიტერატურა იყო მოძველებული, ხოლო ნაწილი გამოიყენებოდა საბაკალავრო საფეხურზე. აღნიშნულთან დაკავშირებით წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სიმართლე ვერ იქნებოდა, რადგან სწავლება ხდებოდა მათ მიერ შექმნილი წიგნით, რომელიც საბაკალავრო საფეხურს არ განეკუთვნებოდა.

წარმომადგენლის განცხადებით, უსაფუძვლო იყო მტკიცება, რომ საგნების უმრავლესობა შეესაბამებოდა სწავლების წინა საფეხურებს და შესაძლოა დოქტორანტებს ისინი უკვე სცოდნოდათ, თუმცა თავად რეკომენდაციას უწევდა სტატისტიკა მიკრობიოლოგიაში და არ აკეთებდა დაშვებას, რომ შესაძლოა აღნიშნული კურსით გათვალისწინებული ცოდნაც უკვე ჰქონოდათ დოქტორანტებს, მითუმეტეს მაშინ როდესაც მათ სამაგისტრო ნაშრომები დაცული ჰქონდათ. მან აღნიშნა, რომ ექსპერტის მიერ დაკვნაში ასახული ინფორმაციის თანახმად 2 დისერტაცია შესრულებული იყო სხვა დაწესებულებაში, დისერტაციები არ შეესაბამებოდა პროგრამის მისიას და მათ შესრულებაში წვლილი შეტანილი არ ჰქონდათ პროგრამის მესვეურებს. რეალურად კი დაცული იყო 3 დისერტაცია. დისერტაცია - "მდ. ალაზანზე მიკრობიოლოგიური და ანთროპოგენული ფაქტორების გავლენის შესწავლა და მისი ეკოტოქსიკოლოგიური შეფასება". ნაშრომი შესრულებული იყო სოხუმის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტზე, ივანე გელიტაშვილის ექსპერიმენტული ბიოლოგიის და მედიცინის ცენტრში. ცენტრს მემორანდუმი ჰქონდა სოხუმის უნივერსიტეტთან სწორედ იმიტომ რომ კვლევები ტარდებოდა ერთობლივად. მეორე ნაშრომი იყო ბრუცელაზური ბაქტერიოფაგების შესახებ, ნაწილი შესრულებულ იქნა სოხუმის უნივერსიტეტში ხოლო ნაწილი ბაქტერიოფაგის ინსტიტუტში. ხოლო მესამე ნაშრომს, რომელიც შეეხებოდა იმუნოდიაგნოსტიკასა და ჯილეხის სწრაფ ინდიკაციას, არ ეწერა სოხუმის უნივერსიტეტი, რადგან სტუდენტი უნივერსიტეტში გადავიდა მობილობით.

თავმჯდომარემ იკითხა, რომელი დაწესებულების სტუდენტი იყო იგი მანამდე. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სტუდენტი მობილობით გადავიდა აგრარული უნივერსიტეტიდან. მას სამუშაო დასრულებული არ ჰქონდა და დაასრულა სოხუმის უნივერსიტეტში, რაზეც ხელმძღვანელებთან ერთად იმუშავა 1 წელი.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ იკითხა, თუ ნაშრომი შეიქმნა დაწესებულების თანამონაწილეობით, რატომ არ იყო ნაშრომზე ეს აღნიშნული.

წარმომადგენელმა განაცხადა, აღნიშნული განპირობებული იყო იმ გარემოებით, რომ რადგან ძირითადი სამუშაო მას შესრულებული ჰქონდა სხვა დაწესებულებაში.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ როდესაც დოქტორანტი მუშაობის დაწყების შემდეგ გადადიოდა მობილობით სხვა დაწესებულებაში, როგორც წესი, ეს იწვევდა იმას, რომ ხშირად საჭირო ხდებოდა სამუშაოს მთლიანად თავიდან დაწყება.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დოქტორანტი კვლევას ატარებდა ბაქტერიოფაგის ინსტიტუტში და მუშაობა მობილობის შემდგომაც ადგილზე განაგრძო.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა იკითხა, ჩაბარებული კვლევა ვის ინტელექტუალურ საკუთრებას წარმოადგენდა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისინი არ აღიარებდნენ კვლევის იმ ნაწილს, რომელშიც არ იკვეთებოდა დაწესებულების ჩართულობა. მას სურდა გაექარწყლებინა ექსპერტის მიერ შექმნილი შეხედულება მატერიალურ ტექნიკური ბაზის შესახებ. კერძოდ, უსაფრთხოების კაბინა ეს იყო კაბინა, რომელიც იცავდა ექსპერიმენტატორს პათოლოგიური მასალისაგან. მისი გაკეთება დაწესებულებას არ სჭირდებოდა, რადგან უკვე არსებობდა ინსტიტუტებში, რომელთაც დაწესებულებას მემორანდუმი ჰქონდა, ხოლო მემორანდუმები არსებობდა სწორედ ბაზაზე ხელმისაწვდომობისათვის. ლამინარული ბოქსი არ წარმოადგენდა იმ ტიპის აღჭურვილობას, რომლის გარეშეც პროცესს შეიძლებოდა პრობლემა შეექმნოდა. ექსპერტს გააჩნდა პრინციპული მოსაზრება მიკროტალღური ღუმელის შეტანის შესახებ დაწესებულებაში, მიუხედავად იმისა, რომ აკრედიტაციისათვის მინიმალური სტანდარტი ამას არ თხოულობდა და ამასთანავე მისი ჩანაცვლება შესაძლებელი იყო წყლის აბაზანით. გამძლე ზედაპირის მქონე მაგიდებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ასეთი მაგიდები დაწესებულებას ჰქონდა და ექსპერტი შეცდომაში შეიყვანა ორმა მაგიდამ, რომელსაც ყავისფერი ზედაპირი ჰქონდა და მაღალი ტემპერატურისთვის იყო შექმნილი, მან კი მიიჩნია ჩვეულებრივ მაგიდებად. დაწესებულებას ასევე გააჩნდა 4 მაღალსიჩქარიანი ცენტრიტუდები.

წარმომადგენელმა რჩევების ნაწილიდან აღნიშნა რჩევა პერსონალის გაახალგაზრდავებასთან დაკავშირებით, რაც დაწესებულების წარმომადგენლის აზრით გადიოდა ასაკობრივი დისკრიმინაციის ზღვარზე. მისი თქმით, პროგრამის თანახმად მდგენელთაგან ორი პირი, ექსპერტის მასწავლებლები იყვნენ, და ექსპერტს სურდა სამაგიეროს გადახდა.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მიუხედავად დაწესებულების მიერ გაგზავნილი არგუმენტირებული პასუხისა, ექსპერტმა დასკვნა გაამყარა პუნქტებთან მიმართებაში. ექსპერტების შუალედური და საბოლოო დასკვნები სხვადასხვა შინაარსის იყო და შუალედური დასკვნიდან ზოგიერთი საკითხი იცვლებოდა საბოლოო დასკვნაში.

თავმჯდომარემ განუმარტა წარმომადგენლებს, რომ საბჭო განიხილავდა მხოლოდ საბოლოო დასკვნას და არა დასკვნის პროექტს.

ექსპერტმა განაცხადა, რომ შუალედური დასკვნა მის მიერ შედარებით ნაჩქარევად იყო შედგენილი, ხოლო საბოლოო დასკვნის დროს მან დამატებით გამოკვეთა ის საკითხები რამაც განაპირობა ცვლილებები. სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ პროგრამაში ჩართულნი იყვნენ მისთვის ნაცნობი პირები, ის ცდილობდა კიდევ ნაკლებად მკაცრი ყოფილიყო და შეძლებისდაგვარად ზოგიერთი რეკომენდაცია რჩევის სახით შემოეფარგლა, თუმცა მას გააჩნდა პასუხისმგებლობა, რომელიც უნდა შეესრულებინა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რჩევაში მხოლოდ პერსონალის ასაკზე კეთდებოდა აპელირება. ექსპერტმა უპასუხა, რომ ამ კუთხით დაწესებულებას მან მხოლოდ დაბალანსება ურჩია, რადგან ეს პროგრამაზე სიახლეების დანერგვის შანსსაც იძლეოდა. სხვა მიზანი ამ რჩევას არ ჰქონია და არც უპატივცემულობის გამოხატვას ნიშნავდა უფროსი თაობის მიმართ.

ექსპერტმა განაცხადა რომ ვირუსოლოგიის კურსში წარმოდგენილი იყო ზოგადი და კერძო ვირუსოლოგია. ლექციები შეეხებოდა ზოგად ვირუსოლოგიას, ხოლო სემინარები -

კერძოს. შეუძლებელი იყო დოქტორანტს აეთვისებინა კერძო ვირუსოლოგია ისე, თუ მას ჯერ ზოგადი არ ექნებოდა სრულად ნასწავლი. ეს იყო თანმიმდევრული აღრევა. მოლეკულური მიკრობიოლოგიასა და თანამედროვე ვირუსოლოგიის თემები იყო ფაქტობრივად იდენტური. მოლეკულურ მიკრობიოლოგიაში: მოლეკულური ვირუსოლოგია, ვირუსთა ცილების ძირითადი პრინციპები და აშ. თემატიკები იყო აღრეული, სხვადასხვა თავებიდან თემატიკები გაერთიანებული იყო ერთ თემაში. რაც შეეხებოდა თანამედროვე ვირუსოლოგიას თემები იყო: ვირუსების გენეტიკა, ვირუსული ინფექციების პათოგენოზი, ვირუსთა მეტაბოლიზმი და აშ. ერთი და იგივე თემა შესაძლებელი იყო სხვადასხვა სათაურებით წარმოდგენილიყო და აღნიშნულ ორ სილაბუსში სწორედ ასეთ შემთხვევებს ჰქონდა ადგილი.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ განაცხადა, რომ თემატიკა მართლაც მოძველებული იყო და ეს ერთი შეხედვითაც იკვეთებოდა. მაშინაც კი თუ ისინი აიღებდნენ 2017 წლის რუსულ წიგნს, რომელიც ნათარგმნი იყო, აღმოაჩნდნენ, რომ დარგის სწრაფად განვითარების გამო ის უკვე ძველი იქნებოდა. ამასთანავე, პროგრამას აკლდა ისეთი უახლესი ელემენტები, როგორიც იყო გენომური მიკრობიოლოგია. ექსპერტთა მოსაზრებებს დაწესებულება მთლიანად უარყოფდა, მაშინ როდესაც პროგრამას შესაძლოა ზოგიერთი მოსაზრების გაზიარება დადებითად გამოდგომოდა.

ექსპერტმა განაცხადა, მერაბ ნათაძის სახელმძღვანელო რომელზეც აპელირება ხდებოდა და რომლის ახალი გამოცემის თანაავტორიც დაწესებულების წარმომადგენელი იყო, დაწესებულებაში, სადაც თავად ექსპერტი იყო დასაქმებული ბაკალავრიატზე ისწავლებოდა. ამასთანავე კლინიკურ იმუნოლოგიაში მითითებული იყო ისეთი სახელმძღვანელოებიც, რომელიც განკუთვნილი იყო მოყვარულთა დონისათვის. მოხსენიებული იყო თ. ჩიქოვანის 2017 წლის სახელმძღვანელოც, რომელიც ლიმფოციტების შესახებ თემატიკას მოიცავდა რაც გაუგებარი იყო რატომ სჭირდებოდა მიკრობიოლოგს.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ექსპერტის თქმით დაწესებულებას საკუთარი ბაზა არ ჰქონდა. საბჭო იცნობდა გამოცდილებას დაწესებულების სხვა პროგრამებზე, სადაც თანამშრომლობა ხდებოდა სოხუმის ფიზიკის ინსტიტუტთან და სხვა პროგრამების შემთხვევაში, იმდენად რამდენადაც თანამშრომლობა იძლეოდა შესაძლებლობას ადეკვატური სადოქტორო კვლევების ჩატარებისა, ფაქტი, რომ თავად დაწესებულებას ბაზა არ ჰქონდა პრობლემად არ ჩაითვალა. თუ მემორანდუმის ფარგლებში მიმღები დაწესებულება სივრცეს უთმობდა დოქტორანტს მაშინ პრობლემა იურიდიულად იხსნებოდა დღის წესრიგიდან. მსგავსი პრაქტიკა მისაღები იყო მსგავსი სპეციფიკის დარგებში და წახალისებულიც კი. ის დაინტერესდა, რა ვითარება იყო ამ კუთხით მოცემულ პროგრამაზე.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ბაზის გარეშე მუშაობა დოქტორანტებისათვის შეუძლებელი იქნებოდა. ექსპერტებს დაარწმუნებდა ამ კუთხით დაწესებულების შესაძლებლობა მაგალითად გრანტის მიღების გამოცდილების არსებობის შემთხვევაში, რაც განმეორების შანსს გაზრდიდა. რაც შეეხებოდა მემორანდუმებს, ბოლომდე დარწმუნების საშუალებას, რომ დოქტორანტს ნამდვილად ექნებოდა ბაზაზე წვდომის შესაძლებლობა არც ეს იძლეოდა, რადგან გრანტია იმისა, რომ ინსტიტუტები დოქტორანტებს აუცილებლად შეუშვებდნენ საკუთარ ბაზაზე არ არსებობდა. შეშვება უცილობლად ხდებოდა მაშინ, თუ დოქტორანტს თავად ინსტიტუტი აგზავნიდა დაწესებულებაში.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სხვა პროგრამებზე ინსტიტუტის წარმომადგენლები სადოქტოროს თანახელმძღვანელები იყვნენ. მან იკითხა ამ შემთხვევაში რა პრაქტიკა არსებობდა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ინსტიტუტში დოქტორანტის მისვლის შემდეგ ინსტიტუტი ამოწმებდა მის ცოდნას, საკვლევ თემას და ამოწმებდა იმას ჰქონდა თუ არა მას გრანტი. თუ გრანტი არ იყო გაცემული, ინსტიტუტს შესაძლოა თავი შეეკავებინა დოქტორანტის მიღებაზე და სანაცვლოდ შეეთავაზებინა საკუთარი დოქტორანტი დაწესებულებისათვის, რომელსაც გრანტი უკვე ჰქონდა მოპოვებული.

თავმჯდომარემ ჰკითხა ექსპერტს, გავიდოდა თუ არა პროგრამა რეალურად შედეგზე რეკომენდაციების გათვალისწინების შემთხვევაში.

ექსპერტმა განაცხადა, რომ მისი აზრით შანსის მიცემა პროგრამისათვის და ხარვეზების გამოსწორება შესაძლებელი იყო, თუმცა არსებობდა მეორე გარემოება, რომ დაწესებულება უბრალოდ არ იზიარებდა ექსპერტთა რეკომენდაციებს და შესაბამისად რთული იქნებოდა მათ გათვალისწინებაზე საუბარი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინების გარეშე, პროგრამა შედეგზე ვერ გავიდოდა.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განაცხადა, რომ სადოქტორო პროგრამა ძირითადად ემყარებოდა კვლევას და ხელმძღვანელს. მისთვის გაუგებარი იყო, რატომ ისწავლებოდა 8 საგანი სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტში.

ექსპერტმა განაცხადა, რომ როდესაც ის საუბრობდა შესაბამისობაზე ან შეუსაბამობაზე, ეს ხდებოდა იმისათვის, რომ დაწესებულებას გადაეხედა პროგრამისათვის და მომხდარიყო დახვეწა.

19:18 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 19:39 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიკრობიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 12

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიკრობიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ, 19:45 საათზე
საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ირაკლი ბურდული



მდივანი
ნინო ჩანადირი

